ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

დასკვნა:**დ03. 37241735**
თარიღი:**21/06/2024**

დ ა ს კ ვ ნ ა

„გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის, როგორც მკაცრი აღრიცხვის ფორმისა და ამ ფორმის გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის 21 ივნისს განიხილა „გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის, როგორც მკაცრი აღრიცხვის ფორმისა და ამ ფორმის გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

პროექტის შემუშავება განპირობებულია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებით, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებას წარმოადგენს გარე რეკლამის განთავსების რეგულირება. ამასთან „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“საქართველოს კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად, სანებართვო მოწმობის ფორმა განისაზღვრება კანონით ან/ და ნებართვის გამცემი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული აქტით.

პროექტზე დასრულდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები შემოსული არ არის.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიმსჯელა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ და მიზანშეწონილად მიიჩნია მისი გატანა საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი